# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-1225

18/12/2019 ქ. თბილისი

**ქ. ჭიათურაში, შპს „ტექნო 2016“-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს ქ. ჭიათურაში, შპს „ტექნო 2016“-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N131 (16.12.2019წ.);
2. შპს ,,ტექნო 2016“-მა სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N131 (16.12.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ტექნო 2016“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ტექნო 2016“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ჭიათურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი